899.962.1 (092)
ლ-852

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლორთქიფანიძე ლია

ბრიგოლ როგაქიძის მხატვრული აზროვნების საკითხები

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2003

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ამირან გომართელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი. პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. სოსო სიგუა
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი. პროფესორი

2. თინა ჩხაიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი. დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წლის „12“ XII „14⁰⁰“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P.10.01. №5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: 380028, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2
ავტორეფერატი დაიგზავნა 2003წლის „6“ „XI“

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი /ნ. ტაბიძე/

-1902-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა მდგომარეობს გრიგოლ რობაქიძის მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი ასპექტის შეძლებისდაგვარად გახსნასა და მეცნიერულ ინტერპრეტაციაში. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება გამოირჩევა სიღრმით და სირთულით. მწერლის თეორიული თუ მხატვრული ნააზრევი შეიცავს ღრმა ფილოსოფიურ შინაარსს, რამაც განაპირობა ინტერესი მისი მხატვრული აზროვნების საკითხების გამოკვლევისადმი.

კვლევის საგანი და მიზანია, შეისწავლოს და გამოავლინოს გრიგოლ რობაქიძის მხატვრული აზროვნების სპეციფიკა, როგორც მწერლის ნაწარმოებების გაგებისა და ადეკვატური წაკითხვის საფუძველი.

გამოკვლევის მიზანმა განსაზღვრა ნაშრომის ამოცანა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შესწავლის გზაზე საჭიროდ მივიჩნიეთ იმ მსოფლმხედველობითი საფუძვლების შესწავლა და გათვალსაჩინოება, რამაც მძლავრი იმპულსი მისცა მწერლის მხატვრულ სიტყვას. ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმ საფუძვლების მიგნებას, რომელთაც თეორიული საყრდენი შექმნეს რობაქიძის შემოქმედებისათვის. ამან, თავის მხრივ, მოითხოვა მიბრუნება ძველი ქართული თუ მსოფლიო მითოლოგიისაკენ, რელიგიის ისტორიისაკენ, ანტიკური, შუასაუკუნეებისა და თანამედროვე ფილოსოფიისაკენ, ასევე გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობრივი ევოლუციის ქრონოლოგიური შესწავლისაკენ. ამ საკითხების ამოცნობის შედეგად შესაძლებელი ხდება მწერლის მხატვრული აზროვნების სპეციფიკის გამოკვლევა, რაც საფუძვლად დაედება ნაწარმოებთა ახლებურ წაკითხვას. ჩვენი მიზანიც მწერლის შემოქმედების სწორედ ამ კუთხით გაშუქებაა. თემის აქტუალობაც ამაში მდგომარეობს.

გრიგოლ რობაქიძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მწერლის მხატვრული აზროვნება ეფუძნება მის ესეისტიკასა და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. ამდენად, ჩვენთვის უპირატესი სწორედ მისი „თეორიული“ (თუ შეიძლება ასე ითქვას) ნააზრევის შესწავლა იყო, რომელიც შემდგომ „პრაქტიკულად“ გარდატყდება მის მხატვრულ ქმნილებებში.